შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/64

თბილისი **“ 18 “ სექტემბერი 2018 წ.**

მოწვეული სპეციალისტების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნი–ს წესდების მე–5 მუხლის, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთუნი-ს უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიმდინარე წლის 18 სექტემბრიდან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ საბაკალავრო პროგრამებზე ინგლისური ენის მიმართულებით გამოცხადდეს კონკურსი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების თანამდებობის დასაკავებლად 2018 - 2019 სასწ/წელზე.

2. მოწვეული სპეციალისტების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 4 (ოთხ) ვაკანტური ადგილზე.

3. კონკურსანტების საბუთების მიღება იწარმოოს მ/წლის 19 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით. (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან – 16 საათამდე)

4. კონკურსი ჩატარდება მ/წლის 25 სექტემბერს.

5. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში (26, 27 სექტემბერი)

6. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს მ/წლის 28 სექტემბერს.

7. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- კონკურსანტის ანკეტა (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;

- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- უმაღლესი განათლების დამადასატურებელი დიპლომის ასლი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია (არსებობის შემთხვევაში)
- სილაბუსები

8. ყველა კონკურსანტმა სასურველია წარმოადგინოს:

- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი ცნობა
- სხვა სერთიფიკატები

დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი გიორგი მათიაშვილი